საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის
სახელმწიფო
კონსერვატორია
თბილისი 0108, გრიბოედოვის ქ. N 8-10 ტელ/ფაქსი:(+995 32) 2 999 144,
www.tsc.edu.ge ელ–ფოსტა: info@tsc.edu.ge; inter@tsc.edu.ge

KA000070255307324

№ 02-9-R **27 / თებერვალი / 2024 წ.**

ბრძანება

სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის- ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრში მთავარი მეცნიერი თანამშრომლების, უფროსი მეცნიერი თანამშრომლისა და მეცნიერი თანამშრომლის სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 32-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, 37^2 მუხლის პირველი, მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3, მე-4, და მე-5 პუნქტების, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N 05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების“ მე-14 მუხლის პირველი პუნქტის, მე-8 პუნქტის "ა" და "ო" ქვეპუნქტების, მე-9 და მე-15 პუნქტების, 31^2 მუხლის პირველი, მე-2, მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტების, კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 16 თებერვლის N08/2024 დადგენილების „სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესისა და სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებითი პირობების დამტკიცების შესახებ“ (დამტკიცებულია კონსერვატორიის წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება #6; 21.02.2024 წ) და ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის დირექტორის მოადგილის 2024 წლის 23 თებერვლის #139 სამსახურეობრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. გამოცხადდეს კონკურსი სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის-ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრში მთავარი მეცნიერი თანამშრომლების, უფროსი მეცნიერი თანამშრომლისა და მეცნიერი თანამშრომლის სამსახურში მისაღებად.

2. მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება 6 წლის ვადით შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება და მნიშვნელოვანი პუბლიკაციები.

3. უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. პირი უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობას იკავებს 5 წლის ვადით.

4. მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. პირი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობას იკავებს 4 წლის ვადით.

5. მთავარი მეცნიერი თანამშრომლის (ვადიანი), უფროსი მეცნიერი თანამშრომლისა და მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობა შეიძლება დაიკავოს პირმა, რომელიც აკმაყოფილებს კონსერვატორიის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესითა და სამეცნიერო თანამდებობების დაკავების დამატებითი პირობების მე-2 მუხლის შენიშვნით, ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის საკონკურსო თანამდებობებისათვის დამატებით განსაზღვრულ კრიტერიუმს - ინგლისური ენის ცოდნა.

6. კონკურსი გამოცხადდეს 2024 წლის 27 თებერვალს. საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2024 წლის 28 მარტიდან 2024 წლის 02 აპრილის ჩათვლით (შაბათის გარდა). საკონკურსო კომისიის შემაჯამებელი ოქმი დასამტკიცებლად წარედგინოს კონსერვატორიის რექტორს არაუგვიანეს 2024 წლის 11 აპრილამდე.

7. კონკურსი გამოცხადდეს ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრში შემდეგი სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად:

ა) მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (6 წლის ვადით) – 3 საშტატო ერთეული;

ბ) უფროსი მეცნიერი თანამშრომელი (5 წლის ვადით) 1 საშტატო ერთეული;

გ) მეცნიერი თანამშრომელი (4 წლის ვადით) – 1 საშტატო ერთეული.

8. სამეცნიერო თანამდებობებზე (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, მეცნიერი თანამშრომელი) გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მსურველი ვალდებულია განსაზღვრული პირობებისა და ვადების დაცვით წარუდგინოს საკონკურსო კომისიას შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე დადგენილი ფორმის მიხედვით (იხ. განცხადების ფორმა);

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (პასპორტი, პირადობის მოწმობა);

გ) ავტობიოგრაფია (CV);

დ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი, უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი;

ე) სამეცნიერო საქმიანობის გამოცდილების ამსახველი ინფორმაცია (მათ შორის სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის ჩამონათვალი, თარიღების მითითებით და არსებობის შემთხვევაში სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობის შესახებ);

ვ) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილების ამსახველი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (ცნობა ან შრომის წიგნაკის ასლი ან სხვ.);

ზ) ცნობა ნასამართლეობის შესახებ ("უმაღლესი განათლების შესახებ" 32 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს ,,სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ბრძოლის შესახებ'' საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლევი პირი ან/და პირი, რომელსაც იმავე კანონის

საფუძველზე სასამართლომ ჩამოართავა საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება).

9. საკონკურსო დოკუმენტების მიღება იწარმოებს 2024 წლის 28 მარტიდან 2024 წლის 02 აპრილის ჩათვლით (შაბათის გარდა), 10:00 საათიდან 18:00 საათამდე, კონსერვატორიის საქმეთა წარმოების სამსახურში (მისამართი: ქ. თბილისი, ალ. გრიბოედოვის ქ. №8-10, ოთახი №216, ან კანდიდატებს სარეგისტრაციო განაცხადი და შესაბამისი დოკუმენტაცია შეუძლიათ გამოგზავნონ ელ.ფოსტაზე: konkursi@tsc.edu.ge;

10. ბრძანების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს კონსერვატორიის საქმეთა წარმოების სამსახურს, დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ოფიციალურ ვებგვერდზე www.tsc.edu.ge.

11. წინამდებარე ბრძანება კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაეცეს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, კონსერვატორიის ბუღალტერია, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახური, საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი, ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი).

12. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი	ხელმოწერილია/ შტამპადასმულია ელექტრონულად	გიორგი შავერზაშვილი